საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1975.

მუზეუმში ძირითადად დაცულია დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თიხისა და ბრინჯაოს მასალა (ძვ. წ. VI–I სსიდან გვიანფეოდალურ ხანამდე): საბეჭდავები, სამკაული, სამედიცინო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს პინცეტი, საკულტო სკულპტურები, კამეჩის ნიღბები, სკვითური ისრისპირები; ნუმიზმატიკა: VI ს. ვერცხლისა და ოქროს სასანური მონეტები, ქართ., ჰულაგუიდური, რუს., გერმ. მონეტები; ეთნოგრაფიული მასალა: ქიზიყური ფარდაგები, ხურჯინები, ჯეჯიმები; ფიანდაზი, ოქრომკედით ნაქარგი ყაჯარი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები.

მუზეუმში ინახება აგრეთვე XX ს. ქართვ. მხატვართა ფერწერული ნამუშევრები (რ. სტურუა, ა. პოპიაშვილი, ჯ. გვიმრაძე, რ. თორდია, ვ. ალბიროვი). დ. მ. მ-ში დაცულია დაახლ. 10 ათ. ექსპონატი.

მუზეუმის პარტნიორი ორგანიზაციებია ბერლინისა და ჰალეს არქეოლ. ინ-ტები.